# მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის

ეთერ მოსულიშვილი, ნინო გუგეშიძე,
სუზანა ბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების სკოლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2025**

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ, ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ,გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*ეთერ მოსულიშვილი*

*ნინო გუგეშიძე*

*სუზანა ბერიძე*

*30.06.2025*

# მადლობა

კვლევის მონაწილეები მადლობას  ვუხდით სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებსა და მოსწავლეებს კვლევის პროცესში   აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით  ჩვენი  კვლევის ხელმძღვანელს-პროფესორ ნათია ანდღულაძეს. ფასდაუდებელი იყო მის მიერ მდიდარი გამოცდილების გაზიარება, რჩევები და რეკომენდაციები,რამაც საშუალება მოგვცა კვლევის პროცესი ყოფილიყო მოქნილი და სწორად მიმართული.

# აბსტრაქტი

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი პრაქტიკის კვლევის ანგარიშია თემაზე “მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის”. კვლევა განხორციელდა სსსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლაში. ძირითადი სამიზნე ჯგუფი კვლევის პროცესში იყვნენ მოსწავლეები, თუმცა ჩართული აღმოჩნდა სრულად სასკოლო საზოგადოება.

კვლევის მიზანი იყო მოცემული სკოლის მაგალითზე თვითმმარველობის სტრუქტურული ერთეულის გაუმართაობის, მოსწავლეების დაბალი ჩართულობის მიზეზების დადგენა და თვითმმართველობის გაძლიერების გზების ძიება.

მართალია, კვლევის ჩატარების სურვილი თავდაპირველად სკოლის დირექციისგან წამოვიდა, მაგრამ ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ანალიზის, მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა რა მიმართულება უნდა აგვეღო კვლევის პროცესში და რა ტიპის პრევენციებს საჭიროებდა მოცემული თვითმმართველობა. აღნიშნულ პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მუშაობა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დაგვეწყო და ჯერ საბაზისო საკითხები გადაგვეჭრა. სიტუაციის ანალიზით ჩანდა , რომ სკოლაში ძლიერი თვითმმართველობის კი არა , საერთოდ თვითმმართველობის, მოსწავლეთა ჩართულობის, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების და ამ გადაწყვეტილებების ან ინიციატივების გაჟღერების კულტურა არ არსებობდა.მოსწავლეებს არ ქონდათ გამოცდილება არაფორმალური განათლების მიღების და ზოგადად საგაკვეთილო პროცესის მიღმა საქმიანობის. შესაბამისად, მართებულად მივიჩნიეთ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ აქტიური , დემოკრატიული პროცესების დასაგეგმად და წარსამართად, მათი გააქტიურება არაფორმალური განათლების გაძლიერების გზით გამოგვეწვია.

მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით ჩვენმა ჯგუფმა შეიმუშავა ინტერვენციები, რომელთა განხორციელების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები. ვეცადეთ ინტერვენციები არ ყოფილიყო თავს

მოხვეული და მაქსიმალურად მოვარგეთ სკოლის რეალობას, შესაბამისად პროცესი ინტეგრირებული იყო საგაკვეთილო გარემოსთან, არ იწვევდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პროტესტის გრძნობას.
განხორციელებულმა ინტერვენციებმა სკოლაში საკმაოდ დიდი ცვლილებები გამოიწვია , პროცესმა გააქტიურა არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ ირიბი ეფექტი მოახდინა მასწავლებლებზეც და გაზარდა მათი ჩართულობაც.
განხორციელებული ინტერვენციების გაანალიზებით დავადგინეთ რა ტიპის აქტივობებმა იმუშავა ყველაზე მეტად კონკრეტულ სკოლაში, შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რაც სკოლისთვის იქნება ერთგვარი გზამკვლევი პროცესის გასაგრძელებლად და სკოლას მისცემს შესაძლებლობას შეინარჩუნოს განხორციელებული ინტერვენციების მდგრადობა და გაუმჯობესოს.

საკვანძო სიტყვები : მოსწავლეთა თვითმმართველობა, მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა მონაწილეობის კიბე, არაფორმალური განათლება.

## Abstract

This master's thesis presents an action research report on the topic: "Student Self-Governance in Schools for the Development of Democratic Culture." The study was conducted at the Public School of Patara Garejvari, located in Gori Municipality, Georgia. Although the primary target group of the research was students, the entire school community was involved in the process.

The aim of the study was to examine the dysfunctional structure of the student self-governance body in the selected school, identify the reasons for students' low participation, and explore possible ways to strengthen self-governance mechanisms.

Although the initial request for conducting the research came from the school administration, the direction of the study was refined based on the analysis of focus group discussions and student surveys. These insights highlighted the areas that required attention and revealed what type of interventions would be most appropriate. It became evident that the process should begin step by step, starting with foundational issues. The analysis showed that not only was there no strong student self-governance, but also that a culture of student participation, independent decision-making, and the expression of initiatives was entirely lacking. Students had limited experience with non-formal education and were rarely engaged in extracurricular activities. Therefore, we considered it essential to stimulate students' involvement through strengthened non-formal education in order to initiate and support active, democratic processes within the self-governance structure.

Based on the information gathered, our research team developed a series of interventions that actively involved both students and teachers. We ensured that the interventions were not imposed but rather adapted to the school's specific context. As a result, the process was integrated into the learning environment and did not provoke resistance from students or teachers.

The implemented interventions led to significant changes within the school. The process activated not only the students but also had an indirect positive effect on teachers, increasing their engagement as well.

Through analyzing the outcomes of these interventions, we identified the types of activities that were most effective in this particular school context. Accordingly, we developed recommendations that can serve as a practical guide for the school to continue the process, ensure the sustainability of the interventions, and further enhance their impact.

**Keywords**: student self-governance, student participation, ladder of participation, non-formal education.